



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა

ყოველთვიური მიმოხილვა

29 დეკემბერი, 2016

ახალი წელი ახალი ტარიფებით. სემემა გამოაქვეყნა განახლებული ტარიფები ზოგიერთი ჰიდროსადგურისა და თბოსადგურისთვის, ისევე როგორც თელასი და ენერგო-პროს კომერციული მომხმარებლებისთვის. სამომხმარებლო ტარიფები 2017 წელს უცვლელი რჩება.

2006 წლის შემდეგ პირველად მოხდა ენგურისა და ვარდნილის ტარიფების გადახედვა. ენგურის ტარიფი გამომუშავებულ კვტ.სთ-ზე 1.187 თეთრიდან 1.496 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო ვარდნილის 1.170-დან 2.880 თეთრამდე. ენგური და ვარდნილი სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი უმსხვილესი სადგურებია, რომლებიც ბოლო 6 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საშუალოდ, მთლიანი გენერაციის 38.9%-ს და ჰიდროგენერაციის 51.7%-ს შეადგენენ. ტარიფის ცვლილება შეეხო ენერგო-პროს 10 სადგურსაც, რომლებიც, 2016 წლის 11 თვის ჯამური მონაცემის საფუძველზე, მთლიანი გენერაციის 18.1%-ს შეადგენენ. ათიდან მხოლოდ ერთი სადგურის ტარიფი იქნა გაზრდილი, ხოლო დანარჩენი სადგურების ტარიფები საშუალოდ 12.5%-ით შემცირდა.


ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

ნოემბერში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	4.3 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ნოემბერში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.7 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ნოემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	4.2 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
ნოემბერში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.5 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 11თ16, კვტ.სთ	5.3%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 11თ16, კვტ.სთ	-15.3%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 11თ16, კვტ.სთ	-29.8%

*საშუალო გაცვლითი კურსი ნოემბერში GEL/USD = 2.4758; TRY/USD = 32675

*ნოემბერში ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო (0.004კვტ.სთ)

გრაფიკი 1: ჰიდროსადგურების ტარიფების ცვლილება და მათ წილი მთლიან გენერაციაში



წყარო: სემეკი, ესკო

2017 წელს ყველა თბოსადგურის ტარიფი გაზრდილია. ტარიფის ზრდის კოეფიციენტი განსხვავდება ყველა სადგურისთვის და მერყეობს 13.5%-იანი ზრდიდან (გარდაბნის თბოსადგურისთვის) 66.9%-იან ზრდამდე ჯი-ფაურისთვის. უმაღლესი ტარიფი დაუწესდა საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (სსეკ) მფლობელობაში მყოფ მე-3 და მე-4 თბობლოკებს და შეადგენს 14.234 თეთრს კვტ.სთ-ზე. ბაზრის წესების შესაბამისად, ეს იქნება ის ტარიფი, რომელიც გადაეხდებათ დერეგულირებულ ელექტროსადგურებს სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით საბალანსო ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვის შემთხვევაში.

გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რომელიც გადაეხდებათ თბოსადგურებს ოპერირებისა და რეზერვის რეჟიმში ყოფნის დღეების რაოდენობის შესაბამისად, შემცირდა მე-3 (-23.8%) და მე-4 (-30.6%) ბლოკებისთვის, აგრეთვე გარდაბნის თბოსადგურისთვის (-6.1%). გარანტირებული სიმძლავრის გაზრდილ საფასურს 2017 წლიდან მიიღებენ მტკვარი ენერგია (+10.5%) მე-9 ბლოკისთვის და ჯი-ფაური (+1.4%). გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდა ხდება მომხმარებლებისა და ექსპორტირების მიერ, ესკოს შუამავლობით, მათი მოხმარებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობის პროპორციულად.


ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი

ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

გრაფიკი 2: თბოსადგურების ტარიფის ცვლილება



წყარო: სემეკი, ესკო



ტარიფი შეიცვალა აგრეთვე სსე-სა და ენერგო-ტრანსისთვის. სსე არის გადაცემისა და დისპეტჩირების ლიცენზიანტი, ენერგო-ტრანსი (სსე-ს შვილობილი კომპანია) კი მხოლოდ გადაცემის ლიცენზიანტია. სსე-ს გადაცემის ტარიფი გაეზარდა 15.6%-ით და შეადგინა 0.872 თეთრი/კვტ.სთ-ზე (ნაცვლად 0.754 თეთრი/კვტ.სთ), ხოლო დისპეტჩერიზაციის მომსახურების ტარიფი შემცირდა 16.3%-ით და გახდა 0.082 თეთრი/კვტ.სთ-ზე (ნაცვლად 0.098 თეთრი/კვტ.სთ). ენერგო-ტრანსის ტარიფი შემცირდა 7.9%-ით 500კვ-იანი ქსელისთვის და გაიზარდა 71.0%-ით 400კვ-იანი ხაზებისთვის. ზოლო ტარიფის გადახდა მხოლოდ ექსპორტიორებს უწევთ, ხოლო დანარჩენი სამი არის როგორც ექსპორტიორების, ასევე მომხმარებლების გადასახდელი. შედეგად, ზემოხსენებული ცვლილებები ჯამურად გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის გადასახადს მომხმარებლებისთვის 5.4%-ით გაზრდის, ხოლო ექსპორტიორებისთვის 17.6%-ით.

სამომხმარებლო ტარიფები 2017 წელს უცვლელი რჩება, მიუხედავად იმ ტარიფის ცვლილებებისა, რომლებიც განხორციელდა რეგულირებულ საბითუმო ბაზარზე. უმნიშვნელო ცვლილება განხორციელდა მხოლოდ თელასისა და ენერგო-პროს იმ კომერციული მოხმარებლებისთვის, რომლებიც დაერთებული არიან მაღალი ძაბვის (>6კვ) ქსელზე.

ტარიფთან დაკავშირებული ყველა ცვლილება ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 5.5 მლნ აშშ დოლარის სესხი დაამტკიცა 17.2 მგვტ-იანი ლუხუნიძის 2-ის პროექტისთვის. ჰესი მდინარე ლუხუნზე, სოფელ ურავთან განთავსდება, ამბროლაურის რეგიონში და იქნება ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე სადგური. პროექტს განახორციელებს სპეციალურად დაარსებული კომპანია, რუსთავის ჯგუფი, რომლის 51%-ს ქართული კომპანია რუსმეტალი ფლობს, ხოლო 49%-ს საპარტნიორო ფონდი. პროექტისთვის EBRD-მ თი-ბი-სი ბანკთან პარტნიორობით გამოყოფა 5.5 მლნ აშშ დოლარი. პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 26.4 მლნ აშშ დოლარია.

დამტკიცდა 2017-2027 წლების საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა, რომელიც 2015 წლის შემდეგ ყოველწლიურად მტკიცდება ენერგეტიკის სამინისტროს მიერ. რიგით მესამე, გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2017-2027 წლებისთვის, დამტკიცდა 2016 წლის 15 დეკემბერს. წინამორბედი გეგმისგან ახალი განსხვავდება ძირითადად მოხმარების ზრდის ტემპისა და გენერაციის ობიექტების და გადამცემი ხაზების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღებთან დაკავშირებული დამკვეთებით. მოხმარების ზრდის ოპტიმისტურ ტემპად, ნაცვლად 5.0%-ისა, მიჩნეულ იქნა 3.5%. ამ ტემპით, 2027 წლის მოხმარება 16.4 მლრდ კვტ.სთ-ს გაუტოლდება. დიდი ჰიდროპროექტების (ხუდონი, ნენსკრა, ონი) მშენებლობის დასრულების თარიღების გადაწყვესთან დაკავშირებით, ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტიც გადაიწია დროში. 2017-2027 წლების განმავლობაში საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების გეგმაში გაწერილი პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 735.4 მლნ ევროს, რომლის დაახლოებით 40%-იც მოდის 2017-2019 წლებზე. ჯამური ათი წლის საინვესტიციო მოცულობა, წინა 2016-2026 წწ. გეგმის მიხედვით, შეადგენდა 800 მლნ ევროს. საინვესტიციო მოცულობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია 2016 წელს დასრულებული პროექტების (500 კვ. მარნეულის ქ/ს, ქსანი 500 კ/ს და სხვა) გეგმიდან ამოღებით.


ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ნოემბერში შიდა მოხმარება წლიურად 11.5%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები თელასისა და გამანაწილებელი ლიცენზიანტების გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება ნოემბერში წლიურად 14.0%-ით არის გაზრდილი, დიდწილად თბილისის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე (+21.5% წ/წ). ენერგო-პროს მოხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა წლიურად 10.3%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი წლიურად 5.9%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება ნოემბერში წლიურად 10.4%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის მოხმარება წინა თვეებშიც შესამჩნევლად იზრდებოდა (ოქტომბერში +20.8% წ/წ). პირდაპირი მოხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა შემცირდა წლიურად 4.3%-ით, 2015 წლის ნოემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-32.7% წ/წ). უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებლის (73.9%), ჯორჯიან მანგანუმის მოხმარება გაიზარდა მხოლოდ 1.7%-ით წ/წ, 2015 წლის ნოემბრის საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-35.7% წ/წ); „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს, მეორე უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებლის (24.8%) მოხმარება კი დაეცა 6.3%-ით წ/წ.

ელექტროენერგიის ექსპორტი ნოემბერში უმნიშვნელო იყო, 2015 წლის ნოემბრის 19.8 მლნ კვტ.სთ-თან შედარებით. 11 თვის ჯამური ექსპორტი შემცირებულია 15.3%-ით წ/წ, რაც ძირითადად გამოწვეულია ფარავანის ჰესის მიერ ექსპორტის განხორციელების თვეების რაოდენობის შემცირებით, „საქართველო-ურბან ენერჯი“-სთან შეცვლილი მემორანდუმის თანახმად. განხორციელდა მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით (131.5 გვტ.სთ).




გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ.სთ)




წყარო: ესკო

შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2016 წლის ნოემბერში დიდწილად საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიით მოხდა. იმპორტმა ქსელისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მხოლოდ 1.3% შეადგინა. ახალშენებულმა ქართლის ქარის ელექტროსადგურმა ნოემბერში გამოიმუშავა 1.8 მლნ კვტ.სთ და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 0.2% შეადგინა. შიდა წარმოება წლიურად 17.9%-ით გაიზარდა, აქედან ჰეს-ების წარმოება (ჯამურის 63.5%) გაიზარდა 17.0%-ით, თბოსადგურების გენერაცია (ჯამურის 35.0%) კი 18.9%-ით. ჰიდროსადგურების წარმოების გაზრდა ძირითადად გამოწვეულია ენგურის და ვარდნილის გამომუშავების გაზრდით (+43.3% წ/წ). ელექტროენერგიის იმპორტი 2016 წლის ნოემბერში წლიურად 84.8%-ით შემცირდა და 12.7 მლნ კვტ.სთ შეადგინა, საიდანაც 76.4% იმპორტირებული იყო აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი - რუსეთიდან.


გარანტირებული სიმძლავრე ქსელს შესაბამისი სტატუსის მქონე ხუთივე წყარომ მიაწოდა თითქმის სრული თვის განმავლობაში. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა 5.4%-ით წინა წლის ნოემბერთან შედარებით და შეადგინა 0.8 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე. მტკვარი ენერგია (მე-9 ბლოკი) და გარდაბნის თბოსადგური მუშაობდნენ სრული სიმძლავრით მთელი თვის განმავლობაში, ხოლო მე-3 და მე-4 ბლოკები და ჯი-ფაური წარმოადგენდნენ ძირითადი რეზერვის წყაროს სისტემისათვის.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება (გვტ.სთ)



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

ნოემბერში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 21.2%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 4.3 აშშ ცენტი შეადგინა, რაც 9.0%-ით ნაკლებია თურქეთის საბაზრო ფასზე. საბაზრო ფასები თურქეთში შემცირდა 0.2%-ით 2015 წლის ნოემბრის უკვე საკმაოდ დაბალი ბაზიდან (-42.4% წ/წ) და კვტ.სთ-ზე 4.7 აშშ ცენტი შეადგინა. 2016 წლის ნოემბერში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის 16.2% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა.




გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 8: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: ექსპორტი 2016წ. ნოემბერში იყო უზნიშნელო (0.004 მლნ. კვტ.სთ)



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაა თ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ მხარის მიერ, რომელიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან გამჟღავნებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალემ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმისიშვილი | ikumisishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge